საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა

ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

(2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე)

1.მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის და გაცემის შესახებ, მონაცემები საჯარო ინფორმაციაში ცვლილების შეტანის შესახებ:

2025 წლის განმავლობაში, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ შემოსულია 7 (შვიდი) განცხადება (მომართვა) და საჯარო ინფორმაცია ყველა განაცხადზე სრულად გაიცა. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღო საანგარიშო პერიოდში სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის სჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელმა პირმა, გვანცა ხუციშვილმა.

სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში საჯარო ინფორმაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ მოთხოვნა, საანგარიშო პერიოდში არ შემოსულა.

2.ინფორმაცია კოლეგიური ორგანოს სხდომათა დახურვის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში დახურულად გამოცხადდა სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 1 (ერთი) სხდომა სრულად, კერძოდ:

- 2025 წლის 28 თებერვლის სხდომა, სადაც განიხილებოდა იუსტიციის მსმენელთა XVIII ჯგუფის 16-თვიანი სასწავლო კურსის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიის დამტკიცებისა და დამოუკიდებელი საბჭოს მიერ აღნიშნულ მსმენელთა შეფასების საკითხები. სხდომის დახურვის საფუძველი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 32-ე მუხლები; „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი; „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 66^{20}-ე მუხლი.

საანგარიშო პერიოდში დახურულად გამოცხადდა სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 1 (ერთი) სხდომის გარკვეული ნაწილი, კერძოდ:

- 2025 წლის 24 თებერვლის სხდომის ის ნაწილი, სადაც განიხილებოდა იუსტიციის მსმენელთა XVIII ჯგუფის თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების საკითხი. სხდომის დახურვის საფუძველი: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 66^{25}-ე მუხლი; სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების 24-ე მუხლი.

3.ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გაცემის შესახებ:

საქართველოს ორგანული კანონის და „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში შეგროვდა და დამუშავდა 21 (ოცდაერთი) თანამშრომლის, მათ შორის

15 (თხუთმეტი) შტატგარეშე: მოწვეული სპეციალისტების და 6 (ექვსი) შტატით გათვალისწინებული თანამშრომელის, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში, ასევე შეგროვდა სკოლის მასწავლებლების/ტრენერების, მოსამართლეების და სასამართლოს სხვა თანამშრომლების, ასევე სკოლის თანამშრომლების ის პირადი მონაცემები, რაც აუცილებელი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებ-პორტალში მათი რეგისტრაციისა და მათ მიერ ვებ-პორტალით სარგებლობისთვის. შესაბამისად, საანგარიშო, სკოლის ვებპორტალით სარგებლობისათვის. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, სკოლის ვებპორტალის დაემატა 3 (სამი) ახალი მომხმარებელი. ამ ეტაპზე, ვებ პორტალში სულ რეგისტრირებულია 1537 მომხმარებელი (სტატუსი აქტიური).

4.ინფორმაცია თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში, სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომლების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის საფუძველზე, დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევები არ ყოფილა.

5.მონაცემები ინფორმაციის გაცემაზე უარის გასაჩივრების შემთხვევის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული არცერთი განცხადება გასაჩივრებულა.